ნუმიზმატიკა და ბონისტიკა
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

ბონისტიკა ისტორიის ერთ-ერთი დისციპლინაა და შეისწავლის.

Select one:

- a. ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ჯილდოებს
- b. ხმარებიდან გამოსულ მონეტებსა და ბონებს
- c. ხმარებიდან გამოსულ აქციებს, ობლიგაციებსა და თამასუქებს
- d. ხმარებიდან გამოსულ ქაღალდის ფულსა და ბონებს

Question 2

რას ემყარებოდა ანტიკური პერიოდის ფულადი სისტემები, რომლებიც ერთდროულად ასრულებდნენ სააღრიცხვო ერთეულის ფუნქციებს.

Select one:

- a. სიგრძის ერთეულებს
- b. წონის ერთეულებს
- c. ყველა პასუხი მცდარია
- d. ოქროს შემადგენლობას

Question 3

როდიდან იჭრება კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ვერცხლის მონეტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში "კოლხური თეთრის" სამონეტო ჯგუფის სახელითაა ცნობილი.

Select one:

- a. ახ.წ. VI საუკუნიდან
- b. ძვ.წ. VI საუკუნიდან
- c. ძვ.წ. VIII საუკუნიდან
- d. ახ.წ. VIII საუკუნიდან

Question 4

რომელი მონეტა ააშკარავებს ზარაფხანის არსებობას ძველი საქართველოს მეორე მსხვილ ქალაქში – დმანისში.

Select one:

- a. დავით VI ნარინის სპილენძის მონეტა
- b. ყველა პასუხი მცდარია
- c. დავით VII ულუს ვერცხლის მონეტა
- d. დავით IV აღმაშენებლის სპილენძის მონეტა

Question 5

IV-VII საუკუნეების პირველი ქართულწარწერიანი მონეტებია.

Select one:

a. ყველა პასუხი მცდარია

b. ქართულ-არაბული დირჰემები

c. ქართულ-სასანური დრაქმები

d. ქართულ-ბიზანტიური სტატერები

Question 6

ე.წ. „ქართულ-ბიზანტიური" მონეტების სამონეტო ჯგუფში ერთიანდება.

Select one:

a. დავით II მონეტები, ბაგრატ III-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები, გიორგი III-ის პირველი და მეორე ემისიები და დავით IV-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები

b. ყველა ჩამოთვლილი მონეტები

c. დავით III კურაპალატის მონეტები, ბაგრატ IV-ის პირველი და მეორე ემისიები, გიორგი II-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები, დავით IV-ის პირველი და მეორე ემისიები

d. ბაგრატ III-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები, ბაგრატ IV-ის პირველი და მეორე ემისიები, გიორგი II-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები და გიორგი III-ის პირველი და მეორე ემისიები

Question 7

რით განსხვავდება ვახტანგ III-ის სპილენძის ფულისგან დავით VIII-ის სპილენძის მონეტა.

Select one:

a. ნახევრად ქართულია, ხოლო თარიღი ჰიჯრის ქორონიკონით არის მოცემული

b. მთლიანად ეროვნულია და თარიღიც ქართული ქორონიკონით არის მოცემული

c. ნახევრად უიღურულია, ხოლო თარიღი ქართული ქორონიკონით არის მოცემული

d. მთლიანად უიღურულია და თარიღიც უიღურული ქორონიკონით არის მოცემული

Question 8

რომელი მონეტები მიმოიქცევა დასავლეთ საქართველოში XV საუკუნეში.

Select one:

a. ყველა პასუხი მცდარია

b. ოქტავიანეს ვერცხლის დენარები და დრაქმები

c. კირმანეული და ტრაპიზონული ასპრები

d. შირვანული თანგები და ჰულაგუიდური დირჰემები

Question 9

ირანის შაჰის სახელით საქართველოში პირველად ფული მოიჭრა 1555-1570 წლებში.

Select one:

a. ზუგდიდის ზარაფხანაში

b. დმანისის ზარაფხანაში

c. ზაგემის ზარაფხანაში

d. თბილისის ზარაფხანაში

Question 10

რა ეწერა XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისის ზარაფხანაში გამოშვებულ სპილენძის ფულზე.

Select one:

a. ქართული ხუცური დამწერლობით „ქართული თეთრი"

b. ძველი არაბული დამწერლობით „კოლხური ფული"

c. ძველი სპარსული დამწერლობით „ქართული თეთრი"

d. ქართული მხედრული დამწერლობით „ქართული ფული"

Question 11

რა ეწერა XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისის ზარაფხანაში გამოშვებულ ვერცხლის ფულზე.

Select one:

a. ქართული ხუცური დამწერლობით „ქართული ფული"

b. ძველი სპარსული დამწერლობით „კოლხური თეთრი"

c. ქართული მხედრული დამწერლობით „ქართული თეთრი"

d. ძველი არაბული დამწერლობით „ქართული ფული"

Question 12

რომელ წლებში გატარდა ფინანსთა მინისტრის ს. ვიტეს ფულადი რეფორმა რუსეთში, რომლითაც ოქროს მონომეტალიზმს ჩაეყარა საფუძველი.

Select one:

a. 1845-1847 წწ.

b. 1875-1877 წწ.

c. 1895-1897 წწ.

d. 1815-1817 წწ.

Question 13

რუსეთის ისტორიაში რომელი პერიოდია ცნობილი „უმონეტობის" სახელწოდებით.

Select one:

a. XV-XVII საუკუნეები

b. IX-XI საუკუნეები

c. VI-VIII საუკუნეები

d. XII-XIV საუკუნეები

Question 14

როდის დაარსდა საქართველოში საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკი.

Select one:

a. 1866 წელს

b. 1872 წელს

c. 1875 წელს

d. 1871 წელს

Question 15

რომელ წელს გატარდა სსრკ-ში ფულის რეფორმა, რომლის შემდეგაც კუპიურების ნომინალი ჩერვონეცების ნაცვლად მანეთებით აღინიშნებოდა.

Select one:

a. 1947 წელს

b. 1941 წელს

c. 1923 წელს

d. 1934 წელს

Question 16

რას ეფუძნება ქართული ეროვნული ვალუტის - ლარის სიმბოლო.

Select one:

a. ერთ თაღიანი ასო „ლასის" გრაფიკულ მოხაზულობას მხედრული დამწერლობიდან

b. ორ თაღიანი ასო „რაეს" გრაფიკულ მოხაზულობას ნუსხური დამწერლობიდან

c. ორ თაღიანი ასო „რაეს" გრაფიკულ მოხაზულობას ასომთავრული დამწერლობიდან

d. სამ თაღიანი ასო „ლასის" გრაფიკულ მოხაზულობას ნუსხური დამწერლობიდან

Question 17

ევრო ნაღდ მიმოქცევაში შემოღებულ იქნა.

Select one:

a. 1999 წლის 31 იანვარს

b. 2001 წლის 31 იანვარს

c. 1995 წლის 1 იანვარს

d. 2002 წლის 1 იანვარს